„შაბურა, დღეს დამთავრდა შენი მარტოკაცობა! – ასე დანიყო ტარიელ ხარხელაურმა განმოსვლა – დღევანდელი დღე ჩემთვის შაბურა არაბულის აღიარებას ნიშნავს. სულ გული მწყებოდა, რომ შაბურა არ ჩანდა პოეზიის ჰორიზონტზე. მისი თაობის პოეტებიდან მართლაც განსხვავებულია, იშვიათია სულიერი ტკივილის ისე მსაფრად განცდა, როგორც შაბურა არაბული განიცდა. ის იყო იმაზე თავმდაბალი, ვიდრე შაბურასნაირ პოეტს ეკუთვნოდა. სამწუხაროა, რომ გარდა ახლობლებისა და მისი სამეგობრო წრისა, შაბურას პოეზიის ნაკლებად იცნობენ. დავაგვიანეთ შაბურას პოეზიის საღამოს ჩატარება. ის ჩემთვის გამორჩეული არაბული იყო, ყველა არაბულის წინაშე ქედს ვიხრი, ვინც კალამთან იყო, მაგრამ შაბურა მართლაც გამორჩეულია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა მის პოეზიას ბავშვები გვაცნობენ, სხვაგვარად არც იქნებოდა, ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის იპოვის თავის გზას, მაგრამ შაბურას წინაშე მაინც დავაგვიანეთ.“

ია ლაცაბიძე, IX კლასის მოსწავლე: „ნატო მასწავლებელმა გავაცნო შაბურა არაბული, რომელიც ჩვენთვის ძალიან საყვარელ პოეტად იქცა, ბედნიერებაა თითოეული ჩვენგანისთვის მისი პოეზიის საღამოში მონაწილეობა.“

ანანო ღირსიაშვილი, IX კლასის მოსწავლე: „აქამდე შაბურა არაბულის პოეზიას არ ვიცნობდი, ნატო მასწავლებელმა არა მარტო გავაცნო მისი ლექსები, არამედ ყვე-

ლაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ის ჩვენთვის საყვარელ პოეტად ექცია. დიდ მადლობას ვუხდით მას ასეთი კარგი პოეტის გაცნობისთვის. შაბურა არაბულის პოეზია მართლაც ძალიან ბევრი რამის მომცემია, ბევრ რამეზე დამაფიქრა, სევედაც მომგვარა, ხშირად აღმაფრთოვანა, ორი თვე მისი პოეზიით ვცხოვრობთ.“

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს დღე შაბურას ოჯახის წევრებისთვის იყო.

ეთერ თათარაიძე: „ჩემთვის და საერთოდ, ჩვენი ოჯახისთვის დღევანდელი დღე ნიშნავს ძალიან დიდ სიყვარულის გამოცხადებას. შაბურა ჩვენს ოჯახში დაიბადა და არ მომეხრებოდა ამის თქმის, რომ არაბულეში, ყველა ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ის იყო აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი, ნამდვილი პოეტი, რომელიც დაიბადა უსუფთავეს, უწმინდეს ბავშვად და დაბერდა ბავშვად უსუფთავესი. ისე წავიდა იმქვეყნად, რომ არავინ შეუნახებია. დღეს მადლობის მეტი რა მეთქმის, თითოეულ ადამიანს მინდა მოვეხვიო და მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ ზუსტად გრძნობენ, ვინ იყო შაბურა არაბული. ჩვენი ოჯახისთვის დღევანდელი დღე ძალიან მტკივნეული, მაგრამ უბედნიერესი დღეა. ეს მისმა მეგობრებმა გააკეთეს და მათ უღრმეს მადლობას ვუხდით იმისთვის, რომ ჩვენი ოჯახის სახელოა და მათ, ვინც აქ შაბურას მოსასმენად მოვიდა.“

ამირან არაბული: „დღევანდელი დღე ძმის დაბრუნებას ნიშნავს ამქვეყნაზე. როცა ამდენი ხალხი გეგულება მისი მოყვარული, მკითხველი და დიდმოსწავლე, ეს ნიშნავს იმისა, რომ ადამიანი ფიზიკურად მიდის ამქვეყნიდან და თავისი სულით, სიტყვით, ლექსებით და შემოქმედებით რჩება სამუდამოდ. ასე რომ, ეს დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ალბათ, შაბურას აღიარებაცაა, რადგან თვითონ იყო ძალიან მორიდებული, უხმაურო და თავმდაბალი. გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ რომ ისევ ახსოვთ მის მეგობრებს, თანაკურსელებს, ფილოლოგებს, პოეტებს და ყველას, ვინც აქ მოვიდა, ეს ნამდვილად მისი აღიარებაა. მით უმეტეს, როცა მისი პოეზიის წასაკითხად ახალგაზრდა თაობა მოვიდა, ეს კიდევ მეტად სასიხარულოა და მიჩნდება იმედი იმისა, რომ ჩვენი მომავალი თაობა ორიენტირებულია სწორ ფასეულობებზე.“

„აქ დასახლება მსურდა, რომ არ მქონოდა ჯვარი ჩანს მთვარე, ჰყვავის თუთა, ჯიხვნი ლოკავენ მარილს, მთებში ჩაკარგულ ჯუთას ღმერთო, დასწერე ჯვარი!“

147-ე სკოლის მოსწავლეები ოცნებობენ შაბურას სათაყვანებელ ჯუთაში მონაცონ მისი პოეზიის საღამო.



24/02/2014



პროფესიონალთა კლასი



სტუდენტი ჩემთვის ყველაფერია...

ასე მიაჩნია საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს - ნანი ხუნდაძეს, რომელსაც სტუდენტები ყოვლისმცოდნედ და ყველასთვის მზრუნველ ქალბატონად მიიჩნევენ. და არა მხოლოდ სტუდენტები.

სამთო გეოლოგიის ფაკულტეტის ყველა მუშაკს სიყვარული და პატივისცემა აქვს ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო

აკადემიის წევრის და, უპირველეს ყოვლისა, ღირსეული კოლეგის, ნანი ხუნდაძის მიმართ. ამ ქალბატონმა, მართლაც, ყველაფერი იცის სტუდენტისა თუ საკუთარი თანამშრომლის, სასწავლო პროცესისა თუ საგამოცდო გრაფიკის შესახებ, უშურველად და ოპერატიულად ეხმარება სტუდენტს და საჭიროების დროს გამოსავალსაც პოულობს ახალგაზრდების სასარგებლოდ.

სასწავლებელში მოსვლის პირველ დღესვე, თუ სტუდენტმა ყურადღება და სითბო არ იგრძნო, მას ყველასა და ყველაფერზე გული უცრუვდება, მისი ოცნება სტუდენტად გახდო-

მაზე უფერულდება და ზოგჯერ, სამწუხაროდ, იმითაც მთავრდება, რომ იგი სასწავლებელს ტოვებს.

28 წლის განმავლობაში ერთგულება დიდი თუ პატარა საქმისა და სერიოზული პრობლემების მიმართ, არ შეცვლილა. მას არასოდეს გამოუჩენია გულგრილობა, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საუნივერსიტეტო საქმიანობის მიმართ, ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი კორექტულობით და ღირსეული მეცნიერისათვის ჩვეული თვისებებით ემსახურა და ემსახურება უმაღლეს სასწავლებელს, სადაც სრულიად ახალგაზრდა მივიდა.

საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტშივე გაიარა ასპირანტურის კურსი და სამეცნიერო საკანდიდატო მრეწველ დიპლომს მოგვიანებით, საკონკურსო წესით, დაიკავა დოცენტის ადგილი და დაინიშნა ლექციების კითხვა ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო გეოლოგიის კათედრაზე ნავთობისა და გაზის ძიების განხრით.

1992 წელს, კათედრის თანამშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კათედრის გამგის მოადგილედ აირჩიეს. მიუხედავად უდიდესი ყოველდღიური დატვირთვისა, იგი წარმატებით უძღვება სამეცნიერო მუშაობასაც, რადგან მიაჩნია, რომ უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი, მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე, წარმოუდგენელია.

ტარიელ ტუსკია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გა-

რემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების გეოლოგიური სამსახურის უფროსი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დოქტორანტი: უშუალოდ და სითბო, ერთდროულად, კომპეტენტურობა ქალბატონ ნანის ბუნებრივი თვისებებია. ბათუმიდან ჩამოსულს ყოველთვის მიხარია მასთან შეხვედრა. ასე მგონია, ცოცხალი ენციკლოპედიაა, რადგან ყველაფერი ზედმიწევნით იცის, გადაუჭარბებლად ვიტყვი, იგი ბრწყინვალე პიროვნებაა.

რომან კვეტენაძე, III კურსის სტუდენტი: ქალბატონ ნანის გარეშე ჩემი სასწავლებელი ვერ წარმომიდგენია, ყველას განსაკუთრებით გვიყვარს ქრისტიანული უბრალოებით სავსე ეს ქალბატონი. მეცნიერი და თანამდებობრივად ასე დაკავებული ქალბატონი ორი საუკეთესო შეილის დედა და ღირსეული მეუღლე - თორნიკე სოლოლაშვილი ამჟამად შვეიცარიაში ქალაქ ჟენევაში მოღვაწე ქართველი კარდიოქირურგია, რომელსაც საქართველოშიც ინვესტორები იყვანის გასაკეთებლად; ნათია სოლოლაშვილი მენეჯერობაში ინჟინერია და ამჟამად „ჯორჯია-გაზში“ - სოკარში მუშაობს.

მეუღლე ჯემალ სოლოლაშვილი კი, რომელმაც თავისი ცხოვრებისეულ პარტნიორად ქალბატონი ნანი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ერთად სწავლის დროს აირჩია, კავკასიის უნივერსიტეტში მუშაობს.

ნანი ხუნდაძეს ფაკულტეტის თორმეტათასი სტუდენტი ულოცავს დედის დღეს და კვლავაც წარმატებებს უსურვებს ცხოვრებასა და შრომაში.

ლია მარტაშვილი

სასკოლო აქტივობა

ვისაუბროთ დემოკრატიაზე

„რატომ მიისწრაფვის ცივილიზებული სამყარო დემოკრატიისაკენ?“, „რა სიკეთე მოაქვს მას?“ - ეს კითხვები დასვეს ივანე ხრიკულის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისის საჯარო სკოლის IX-X კლასის მოსწავლეებმა, 21 თებერვალს, სკოლის სააქტო დარბაზში გამართულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ ორგანიზებულ თემატურ საღამოზე „ვისაუბროთ დემოკრატიაზე“. საღამოს უშუალო ორგანიზატორი გახლდათ ხაშურის ღვანდომოსლი პედაგოგი, ისტო-

რისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი რევაზ ქაფიანიძე.

❖ „რატომ ვისაუბროთ დემოკრატიაზე“ (მე-10 კლასის მოსწავლე გვანცა ციციშვილი)

❖ „სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები“ (მე-10 კლასის მოსწავლე მარიამ ნეკერაშვილი)

❖ „რა არის ხელისუფლება“ (მე-10 კლასის მოსწავლე ნანა ლომიძე)

❖ „ხელისუფლების განაწილება“ (მე-10 კლასის მოსწავლე ვალერი მიქელაშვილი)

❖ „ხელისუფლებას ზღუდავს კანონი“

(მე-9 კლასის მოსწავლე გვანცა ნაოჭაშვილი)

❖ „ხელისუფლების ლეგიტიმურობა“ (მე-9 კლასის მოსწავლე ნინო თოფურია)

❖ „ხალხის როლი სახელმწიფოს მართვაში“ (მე-10 კლასის მოსწავლე ლევან ლომიძე)

❖ „დემოკრატიული საარჩევნო კანონი“ (მე-10 კლასის მოსწავლე გიორგი თუმანიშვილი)

❖ „დემოკრატიული ღირებულებანი“ (მე-10 კლასის მოსწავლე მაგდა ლომიძე)

❖ „სახელმწიფო“ (მე-9 კლასის მოსწავლე დავით მაზიაშვილი)

აი, საკითხები, რაზეც მოსწავლეებმა ისაუბრეს. დამსწრე საზოგადოებამ, რომელსაც მშობლები, პედაგოგები, მაღალი კლასების მოსწავლეები და ხცისის თემის წარმომადგენლები შეადგენდნენ, დიდი ყურადღებით მოისმინა მოსწავლეთა გამოსვლები. მათი უშუალოდ, საკუთარი მოსაზრების დამაჯერებლად გადმოცემა, საკმაოდ დიდი ცოდნა სამოქალაქო განათლებაში კარგად გამოჩნდა ამ ღონისძიებაზე. ყოველივე ეს კი ბატონ



რევაზ ქაფიანიძის მაღალი პროფესიონალიზმისა და მოსწავლეთა დიდი მონდომების დამახასიათებელია. რეზო მასწავლებელმა კარგად იცის, როგორ აამაღლოს მოსწავლის მოტივაცია. მის გაკვეთილზე ხომ თითქმის ყველა მოსწავლე მოტივირებულია, ისწავლოს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაინც.

ამ საღამოს მიზანი არ იყო დემოკრატიის ყველა კუთხე-კუნჭულის დეტალურად წარმოდგენა. ეს იმდენად დიდი თემაა, ერთ საათში პრეზენტაცია შეუძლებელია. მთა-

ვარი იყო მოსწავლეებს ჩვენებინათ აკადემიური ცოდნა დემოკრატიაზე და ამ ცოდნის შესაბამისად საზოგადოების წინაშე წარდგენის დამაჯერებელი მსჯელობისა და მოვლენათა სწორი შეფასების უნარ-ჩვევები.

ღონისძიებამ თავისი მისია შესრულა. ასეთი ახალგაზრდები მართლა ააშენებენ დემოკრატიას.

ნინო ლულაძე
X კლასის ხელმძღვანელი



პროექტი „ჩვენ ვკითხულობთ“



ერთი ძველისძველი გადმოცემის თანახმად, დამწერლობა ეგვიპტელთა ღმერთ ტოტს შეუქმნია და ფარაონისთვის უთქვამს: ამით კაცთა მოდგმას დაგამახსოვრებ იმას, რაც შეიძლება დაავიწყდესო. ფარაონი შემფოთებულა, ჯერ გამოგონებაზე მიუთითებია, შემდეგ ადამიანის თავზე და უთქვამს: (დამწერლობა) მოკლავს ამას (მეხსიერებას).

ცხადია, დღეს წერასა და კითხვას არავინ უფრთხის, რადგან ადამიანები დარწმუნდნენ, რომ იგი მეხსიერებას კი არ კლავს, არამედ ანართობს, ძალას მატებს. მას შემდეგ, რაც წიგნი შეიქმნა, კარგა ხანმა გაიარა. ვითარება შეიცვალა და ახლა თვით წიგნს გამოუჩნდნენ კონკურენტები - ჯერ ფოტოგრაფიული გამოსახულება ამოძრავდა და კინოხელოვნება გაჩნდა, შემდეგ კი ტელევიზორმა დაიპყრო ქვეყანა. ამიტომაც ახლა ადამიანთა შიში წიგნის მომავალს დაუკავშირდა.

დღეს ჯერ კომპიუტერზე მიუთითებენ, შემდეგ - ნიგნზე და იმ ფრაზას იმეორებენ: ეს მოკლავს ამას!.. ნუთუ ეს მართალია.

„ჩემო კარგებო, ჩემო შვილებო,



მიუბრუნდეთ ისევ წიგნებს“ - მოგვინოდებს უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, რათა მომავალმა თაობამ უფრო შევიყვაროთ წიგნი.

ონის რაიონის სოფელ გლოლის საჯარო სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი „შოვი“, წევრები - IX-X კლასის მოსწავლეები: ზაზა ბიძიშვილი, გიორგი ბაკურაძე, ლია ხარებაშვილი, გოჩა ხარებაშვილი. კლუბის წევრებმა სამოქალაქო განათლების მასწავლებელ ლელა ზაქარაიასთან ერთად მოამზადეს პროექტი „ჩვენ ვკითხულობთ“. პროექტის მიზანი - კლუბის წევრებმა, სკოლის დანარ-

ჩენ მოსწავლეებთან ერთად, წაიკითხონ სხვადასხვა მხატვრული ლიტერატურა. ლელა მასწავლებელი, ქართული ენის მასწავლებლებთან ნაწილი ბეთოშვილთან, სოფო სულთანისშვილთან, მზადო გაგაშელთან ერთად, გვირგვინ ჩვენი ასაკის და ინტერესისთვის შესაფერის ლიტერატურას. ყოველი კვირის სამშაბათს მოსწავლეები და მასწავლებლები ვიკრიბებით და განვიხილავთ, ვარჩევთ, ვანალიზებთ ნაკითხულ წიგნებს.

გლოლის საჯარო სკოლის
სამოქალაქო განათლების
კლუბის წევრები



მოსწავლე უამოქმადი

აჭარელი მოსწავლე პოეტი სტუმრად რუსთაველებთან



ნიკოლოზ ფუტყარაძე

მას შემდეგ, რაც რუსთაველ მწერლებს, ზოგადად, ამ ქალაქის ლიტერატურისმოყვარულ საზოგადოებას, მწერალთა სახლი ანგარებით, წინასწარგამიზნულად წაართვეს, ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა იქცა ყველა მათგანისათვის თავშესაფრის ადგილად. სამწერლო ორგანიზაცია არ დაშლილა, ღონისძიებები ისევ აქტიურად ტარდება და სულ ცოტა ხნის წინ კარგი ლიტერატურული აღმან-

ხიც გამოვიდა.

რუსთაველთა სახელით კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას და ყველა მუშაკს თანადგომისათვის, ნიგნისა და ჩვენი სიყვარულისათვის. სწორედ ამ შესანიშნავ გარემოში ჩატარდა ბათუმელი მოზარდის ნიკოლოზ ფუტყარაძის პოეტური საღამო, რომელსაც უამრავი ადამიანი დაესწრო.

ნიკას შესახებ რუსთაველებმა ბევრი რამ ვიცოდით, მაგრამ მოსმენილმა და ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. მოსწავლე-პოეტი უკვე კარგად ფლობს ლექსის წერის ტექნოლოგიას, იცის, რაზე წეროს და როგორ, სათქმელს ამბობს საინტერესოდ და პოეტურად, მის პოეზიაში თემათა მრავალფეროვნებაა, პოეტურ სახეთა სიმრავლეა, ბევრგან - მიგნება და აღმოჩენაც, რამაც გააოცა რუსთაველები. თითხმეტი წლის ასაკში ასე წერა, თავისთავად ნიჭიერებაა, გასაოცარი კი ისაა,

რომ ნიკამ, თითქმის, ყველა ლექსი ზეპირად იცის და კითხულობს უჩვეულოდ ლამაზად, ფაქიზი გრძობებით და არა ამბიციურად. ასე რომ, აჭარელმა ბიჭმა დაატყვევა თავისი თანატოლები და უფროსები პოეტური დეკლამაციით.

ნიკა ფუტყარაძე, როგორც იტყვიან, არ ხუმრობს. იგი უკვე სამი პოეტური კრებულის ავტორია, ბევრს მოგზაურობს, სწავლობს კარგად და აინტერესებს უამრავი რამ - განსაკუთრებით ქართული მწერლობის დღევანდლობა და მომავალი, თაობათა კავშირის პრობლემები, სტიკია და ლექსებში გამოხატავს ნუხილს დაკარგულ სამშობლოს ტერიტორიებზე, აწუხებს მიტოვებული სოფლების, ქვეყნიდან შორს წასული ადამიანების ბედი.

სალამოს, რომელიც სამი საათი გაგრძელდა, კარგად ცნობილი პოეტი ბელა ქებურია უძღვებოდა. სწორედ მისი, როგორც გემოვნებიანი და ნიჭიერი შემოქმედის და ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის აღმოჩენა ნიკა ფუტყარაძე. ბელა ქებურია ბათუმში (და არა მხოლოდ აქ) უამრავ მოზარდს წააშველა თავისი ნიჭი და კალამი, ბევრს გაუღვიძა ლექსის წერის სურვილი და ქართული პოეზიის სიყვარული.



ბელა ქებურია

კარაძე ამ კავშირის საბაბიცაა და მიზანიც. რუსთაველები კიდევ ბევრჯერ მოელიან მისგან აღფრთოვანებას.

დაბოლოს, ღონისძიების ერთ-ერთი ინიციატორი იყო რუსთავის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის დეკანოზი მამა სერგი, რომელსაც დიდ მადლობას ვუხდით ნიკასა და ჩვენი სახელით.

ლია მარტაშვილი

საგარეო კონფერენცია

სკოლის ყოველწლიური დღესასწაული



2014 წლის 22 თებერვალს, საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის) ინიციატივით, საგარეჯოს №2 საჯარო სკოლაში, მოსწავლეთა 68-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. წყაროსთავის, პატარძელის, ხაშმის, უჯარმის, მანავის, კაკაბეთის, საგარეჯოს ოთხივე საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე პატარძელის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები და პედაგოგები. კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიმართა საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ქალბატონმა მანანა ცუცქერიძემ

და წარმატებები უსურვა მათ.

კონფერენცია მეტად მრავალფეროვანი იყო - 19 საგნობრივი სექცია მუშაობდა. ძალიან საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს მოსწავლეებმა ჟურნალისტიკის, ხელოვნების, კინო-ფოტოხელოვნების, სპორტის, ეკოლოგიის, ისტორია-ეთნოგრაფიის, მათემატიკა-ინფორმატიკის, უცხო ენების (ინგლისური, ფრანგული), ქართული ენა-ლიტერატურის, ფოლკლორისა და შემოქმედების, ქიმიკ-ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ტურიზმის სექციებში. ნამუშევრებს თან ახლდა ვრცელი ფოტო, აუდიო და ვიდეომასალა, რომლის დემონსტრირებასაც ახდენდნენ მონაწილენი პრეზენტაციის დროს. მათ ნაშრომებში ნათლად ჩანდა სწრაფვა სკოლის გაღრმავებისაკენ, შემეცნებითობა, პასუხისმგებლობა, თემის ხელმძღვანელ პედაგოგებთან ერთად მუშაობა. ამიტომაც იყო ძალიან საინტერესო და დახვეწილი წლებანდელი კონფერენცია. სექციების მუშაობას ხელმძღვანელობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმატებული და სერტიფიცირებული პედაგოგები, თავიანთი საქმის პროფესიონალები, რომლებმაც საკონფერენციო ნამუშევრების დაცვისას რეცენზირება გაუწიეს ნამუშევრებს და თბილისში, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გააგზავნეს რესპუბლიკურ კონფერენციაზე განსახილველად.



ისლა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ თითოეულ მათგანს რესპუბლიკურ კონფერენციაზე. მანამდე კი, კონფერენციის მონაწილე ყველა მოსწავლეს, პედაგოგსა და სექციის ხელმძღვანელს გადაეცა საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დიპლომი და მადლობის ფურცელი.

საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი მადლობას უხდის საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლელა ფანოზიშვილს განუხილ დახმარებისათვის და კონფერენციის წარმატებით ჩატარების ხელშეწყობისათვის.

თამარ ჯაბადარი
ა(ა)იპ-ი საგარეჯოს
სკოლისგარეშე დაწესებულებათა
გაერთიანების დირექტორი



სპორტი

ოლიმპიელთა სტუმრობა სკოლაში

ირაკლი თავაძე

საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ და საქართველოს ოლიმპიელთა კლუბმა ახლახან თანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმეს, რომლის ერთ-ერთი პირველი შედეგიც 28 თებერვალს ვიხილეთ – თბილისის 115-ე საჯარო სკოლას (დირექტორი – **მარგალიტა ჭინჭარაული**), კლუბის ინიციატივით, სახელოვან სპორტსმენთა დიდი ჯგუფი ეწვია. თებერვალში კლუბმა მიიღო გადაწყვეტილება, წვეოდა იმ სკოლას, ვინც გაიმარჯვებდა ზემოხსენებული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მინი-ფეხბურთის სასკოლო ლიგის გათამაშებაში, რომელიც ტერიტორიული მთლიანობისთვის დალუპულთა ხსოვნას ეძღვნებოდა. ტურნირში 115-ე სკოლამ გაიმარჯვა (სპორტის მასწავლებელი – **გია ბეგიაშვილი**) და ოლიმპიელეებიც დაირაზმნენ მათთან სტუმრობისთვის. სკოლას კლუბის დამფუძნებელი, სამეზოს ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში **კახი კახიაშვილი**, ოლიმპიური ჩემპიონები, ძიუდოსტი **შოთა საბარელი**, ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე **ვახტანგ ბლაგიძე**, ფრენბურთელი **ვაჟა კაჭარავა**, ოლიმპიური პრიზიორი მძლეოსნობაში **მაია აზარაშვილი**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **გურამ სალარაძე**, ევროპის ორგზის ჩემპიონი ძიუდოში, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ნესტორ ხერგიანი**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**...

ასეთი დღეგაცაიის სტუმრობამ მოსწავლეთა დიდი ინტერესიც გამოიწვია და სკოლის ვრცელი სააქტო დარბაზი პირთამდე გადაიჭედა... დასაწყისში მოსწავლეებმა სტუმრებს საკუთარი ძალებით მომზადებული საკონცერტო პროგრამა შესთავაზეს, მერე კი ოლიმპიადის ისტორია წარმოადგინეს – დასაბამიდან დღემდე. გაიხსენეს ვანკუვერის ოლიმპიადებზე ტრაგიკულად დაღუპული ნო-

დარ ქუმარიტაშვილი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას. ხელცარიელი არც ვეტერანები მისულან და დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში პატარებს ემოციური წუთები აჩუქეს. კახიაშვილმა იქვე, დარბაზში, უბრალო ხის ჯოხისა და წყლის ბოთლების დახმარებით სახელდახელოდ გააკეთა შტანგა და მოუწოდა, თუ დარბაზში სიარულის დრო ან ინვენტარის შექმნის საშუალება არ გაქვთ, სახლში დაამზადეთ ასეთი მარტივი მოწყობილობა და ივარჯიშეთო. უკლებლივ ყველა სტუმარმა მოუწოდა ბავშვებს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სპორტში აქტიურად ჩართვისკენ. თან დასძინეს, რომ სპორტი ერთ-ერთი გზაა, გახდნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები.

მაია აზარაშვილმა ამ სკოლასთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი გაიხსენა, როგორ გახდა ოლიმპიური პრიზიორი ქალი რბენაში... სამოსანი. არადა, ზუსტად იმ დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატი მოუგია. თავის დროზე, ამ სკოლიდან სულ რამდენიმე მეტრში მდებარე გლდანის ყოფილ სკოლა-ინტერნატში სწავლისას, ის აქ გადმოუყვანიათ, რადგან ინტერნატში რემონტი მიმდინარეობდა. ფიზკულტურის გაკვეთილზე მომავალ მედალოსანს, ასფალტზე სირბილისას მოსალოდნელი ტრავმების თავიდან ასაცილებლად, თავი დაუზოგავს, რადგან საღამოს ქვეყნის პირველობაზე უნდა ერბინა. ამიტომ მხოლოდ ნორმატივის შესრულებაზე უზრუნია, რათა ფიზკულტურაში ნიშანი მიეღო, მაგრამ სამიანი დაუწერიათ. სამაგიეროდ, საღამოს საქართველოს რეკორდი დაუმყარებია.

დარბაზი დიდი ინტერესით უსმენდა ვაჟა კაჭარავას, რომელიც ბავშვებთან ოლიმპიური ოქროთი მივიდა და მათ ნება მისცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ ხელითაც შეხებოდნენ, ახლოს ენახათ ეს ჯილდო. მანამ მუდღის უკანა ფსადაის ისტორიაც გაცნო, სადაც გამოსახულია სცენა, როგორ გაჰყავს ორ კაცს

მხრებზე შესმული მამაკაცი ხალხის ბრბოში. მან განმარტა, რომ ესაა ანტიკური ეპოქის ბერძენი ოლიმპიური ჩემპიონი დიაგორი, რომლის შვილებიც – ორი ვაჟი ასევე ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. გამარჯვების შემდეგ მაღლიერი შვილები დარბაზში საქომადოდ მისული მამისკენ გაემართნენ, მხრებზე შეისვეს ის და აღტაცებულ ქომაგთა გარემოცვაში გაიყვანეს გარეთ. მედალზეც სწორედ ეს სცენაა ასახული, რომელიც 1928-68 წლებში გამოსულ ყველა საჩემპიონო მედალს ამშვენებდა, მერე კი შეცვალეს.

მოგვიანებით ვიქტორინა გაიმართა – ბავშვებმა ოლიმპიურ თემატიკაზე დასმულ შეკითხვებს უპასუხეს, ჯილდოდ კი სეოკ-ის მიერ გამოცემული წიგნები მიიღეს. ცხადია, მათთვის სასურველ ვეტერანთა ავტორაფიო.

სპორტსმენებთან კითხვების დასმის საშუალება ბავშვებსაც მიეცათ, რა დროსაც, პირდაპირ ვიტყვი, გაგვაკვირვებს კითხვებით. ბუნებრივია, იყო „ყოფითი“ კითხვებიც, მაგალითად, გაგიჭირდათ თუ არა ოლიმპიადებზე გამარჯვება; ძნელია თუ არა წარმატების მოპოვება და ა.შ. ერთმა მოსწავლემ მაია აზარაშვილს ჰკითხა, ახსოვდა თუ არა პირველი გამარჯვება. აღმოჩნდა, რომ მას ყველა დეტალი ახსოვდა, რაც დიდმა სპორტსმენმა ჩვეული გულწრფელობით გაიხსენა და დარბაზიც გაამხიარულა – „პირველი ოქრო 11 წლისამ მოვიპოვე, როცა საქართველოს ჩემპიონი გახედი, ჯილდოდ კი 43 ზომა ბუცები მივიღე. თუმცა უბედურების ვიყავი ჩემი საჩუქარით, დედაჩემმა კი მთელი სამზობლო შემოიარა და ყველას უჩვენებდა ამ საჩუქარს“.

იყო ბევრად სიღრმისეული კითხვებიც – ისეთი, რომლითაც, წესით, უფროსები უნდა ინტერესდებოდნენ და არა ბავშვები. მაგალითად, ერთმა გოგონამ ჰკითხა ვეტერანებს, გამართლებულად მიაჩნდათ თუ არა სოჭის ოლიმპიადში მონაწილეობა და იქვე დასძინა, რომ თვითონ არ მი-

ესალმებოდა ამას. მეორე მოსწავლემ ყურადღება გაამახვილა საკუთარი სკოლის გასაჭირზე, რომელსაც არ აქვს სპორტული დარბაზი (არადა, სკოლაში 1600-მდე ბავშვი სწავლობს), მესამემ კი იკითხა, ქვეყანაში რატომ არ არსებობს უფასო სპორტული სექციები და დაამატა, მინდა სპორტზე სიარული, მაგრამ ფინანსურად საშუალება არ მაქვსო. ბუნებრივია, ეს კითხვები ბევრ მოზარდს ანუხებს, მაგრამ სტუმრები კონკრეტულ პასუხს ვერ გასცემდნენ. კახი კახიაშვილმა მხოლოდ ის თქვა, რომ ამგვარ პრობლემებზე სისტემატურად მუშაობენ საპარლამენტო კომიტეტთან და ცდილობენ მათ მოგვარებას. კონკრეტული პასუხი მხოლოდ სოჭის ოლიმპიადში მონაწილეობის თემას გასცა ვახტანგ ზღაგაძემ. „ლოს-ანჯელესის თამაშებისთვის მთელი ოთხი წელიწადი ვემზადებოდი და როცა იქ გამოსვლის უფლება არ მოგვეცა, ამით ხომ დავზარალები? რას ვერჩით სპორტსმენებს?“ – იკითხა მან. სტუმართა საერთო აზრიც ის იყო, რომ უნდა გამოვსულიყავით.

შეხვედრის დასასრული (თუმცა, ბოლო ნახევრი ეზოში ხეების დარგვა იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა სახელზე, მათ შორის ამ სკოლის 5 ალზრდილია) კიდევ უფრო ემოციური გამოდგა – ბოლო არ უჩანდა ავტორაფებს, ფოტოებს... განსაკუთრებით ბევრი ავტორაფი ვაჟა კაჭარავამ და მაია აზარაშვილმა დაარჩიეს, იქით მოჭიდავე ბიჭი გურამ სალარაძეს სიხოვდა სურათის გადაღებას, აქეთ სხვები ნესტორ ხერგიანსა და კახი კახიაშვილს შემოხვეოდნენ... ვფიქრობ, ამ აუცილათის შემხედვარე, საესებით მართებულად ბრძანა მაია აზარაშვილმა: *მჯერა, დღეს ჩვენ რამდენიმე ბავშვის ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალეთ*.

ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლა კი მასპინძლებისთვის ახალი არაა – 2011 წელს, მაშინდელი სასკოლო კლუბ „მორკინალის“ (მასაც გია ბეგიაშვილი ედგა სათავეში) ორგანი-

ზებულ ფრენბურთელთა ტურნირში, ერთი მოსწავლე შეამჩნიეს, რომელიც არც სპორტული ცხოვრების წესით გამოირჩეოდა და არც დისციპლინით, მაგრამ დღეს უკვე ეროვნული ნაკრების კანდიდატია.

შეხვედრის დასასრულს კახი კახიაშვილს ოლიმპიური კლუბის ამოცანებსა და უახლოეს სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ, რაზეც შემდეგი გვიპასუხა:

– ოლიმპიელთა კლუბის ძირითადი მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, რაც პრიორიტეტი უნდა იყოს მთელი ქვეყნისთვის. მეორე მიზანია სპორტის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების შეძლებისდაგვარად ჩაბმა სპორტში. შეიძლება, ყველა დიდი სპორტსმენი ვერ გამოვიდეს, მაგრამ ვალდებულნი ვართ, ყველა ვიყოთ ჯანმრთელები, რათა ჩამოვყალიბდეთ პიროვნებები, გამოვადგეთ ქვეყანას. თუმცა, ძირითადი მესაჯი სხვაა – სპორტში ჩადებული 1 ლარით სახელმწიფო სოციალურ დაცვაზე ზოგავს 12 ლარს, ანუ მოსახლეობის გაჯანსაღებაზე დახარჯული 1 ლარი ზოგავს ჯანმრთელობის დაცვაზე გაღებულ 12 ლარს. ამ მიზნით ვხვდებით ახალგაზრდობას და არა მარტო დედაქალაქში – ვიყავით ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, შიდა და ქვემო ქართლში, ვაკეთებთ ინტერნაციონალურ ბანაკებს, სადაც ქართველებთან ერთად არიან ოსები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვები. მათ ვუჭარებთ გაკვეთილებსაც და სპორტულ ლონისძიებებსაც, რადგან სპორტის მემკვიდრეობით ადამიანები იოლად უმეგობრდებიან ერთმანეთს. სპორტი აერთიანებს ეროვნული, სოციალური თუ სარწმუნოებრივი ფენების მიუხედავად. ამასთან, გვინდა წინ წამოვიწყოთ და საზოგადოებას ისევ შევახსენოთ ჩვენი სამავალითო ვეტერანები, რომლებიც იმდენად ხშირად არ ჩანან მასშედიში. ამ შეხვედრებით რამდენიმე ბავშვსაც რომ ვუბიძგოთ ცხოვრების ჯანსაღი წესისკენ, ჩვენს ამოცანას შესრულებულად ჩავთვლით.





მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზოვით ტესტების ქრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული ქრებულის ფასი - 10 ლარი



წიგნი I - ძველი ქართული მწერლობა; წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

- ◆ ქრებულეებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიაღვივდებათ სავარაუდო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გაქვებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შეძლებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

ქრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეკროდუქციები ხელმოწერის კაბინეტისთვის

- 1. ტისფერი ბალებინები - ედგარ დეგა
2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყობრის თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლონ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მენინები - დიეგო ველასკესი
7. დელფინური სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძლევი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. სპანელა - რუბენს რენუარი
11. საკვირაო გასერება გრან შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა
12. დიდი ცალის ფასი - 6.5 ლარი

თემატური კლასიკები გალალის კლასებისთვის

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები
3. გარეული ცხოველები
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძველმეცნიერება
7. საბარტველონო მცენარეები
8. ალაბინის აგავსებები
9. ძველი რეგი
10. ნივთები - სიციცილის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამხაროს წარმოშობა
16. ქართული მეოფრის შიხარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება
18. თემატური კლასიკების ფასი - 3 ლარი

ქართული მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომი) I-V ტომი, - 11 ლარი
◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომი) I-VII ტომი - 11 ლარი
◆ ლევან გომთუა (7-ტომი) I-II ტომი - 16 ლარი
◆ ელიზბერ ყიფიანი (2-ტომი) I-II ტომი - 15 ლარი
◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომი) I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
◆ რევაზ ინანიშვილი (6-ტომი) I, II, IV, V, VI ტომი - 12 ლარი
◆ ვახტანგ ჭილჩიძე (9-ტომი) I-VII ტომი - 12 ლარი
◆ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომი) I-V ტომი - 12 ლარი
◆ ოტია იოსელიანი (10-ტომი) I-X ტომი - 12 ლარი
◆ თამაზ ჭილჩიძე (6-ტომი) I-VI ტომი - 10 ლარი
◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომი) I, III, IV, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34x47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. გურამ ასათიანი
6. აკაკი წერეთელი
7. კონსტანტინე გამსახურდია
8. პაულ იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. პოლიკარე კაკაბაძე
11. გურამ რეაზორიანი
12. იაკოვ ხუციანი
13. იონა საბანისძე
14. დავით გურამიშვილი
15. ბესიკი
16. რევაზ ინანიშვილი
17. ალექსანდრე ჭავჭავაძე
18. რუსთაველი
19. თეიმურაზ I
20. ვახტანგ VI
21. გიორგი მერჯული
22. გრიგოლ ორბელიანი
23. დავით აღმაშენებელი
ერთი ცალის ფასი - 4 ლარი

ნიგნის თარო მიმდინარეობს ხელმონერა

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“


- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბატინი - დამუხი ბატონი ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელემენტები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
- მარგარეტ ღიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ჯონ გოლდსმორთი - რჩეული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილეული ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვლარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ვოლფგანგ ამადეუს შილერი - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულიან
- ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი

თითო ტომის ფასი - 12 ლარი




რა არის რა

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლეხობა
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ კვლევი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ კვლევი რომი
- ❖ კვლევი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უკვლესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპინოვი ქალაქები
- ❖ ქიმიკა
- ❖ მექანიკა
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმონერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
 მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
 ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
 ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22



ფასი - 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე
 ქართული
 აგიოგრაფიული
 პროზა ლიტერატურის
 შემსწავლელთაგან
 ფასი - 4 ლარი



თამაზ ვასაძე
 კომენტარული
 ტექსტი და
 ანალიტიკური
 გზამკვლევი
 ფასი - 10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი
 ქართული ენის
 სასკოლო განმარტებით
 განმარტებითი
 ლექსიკონი (ორტომეული)
 ფასი - 10 ლარი

ქიმიკა

საატმოსფერო-საბიოქიმიკა
 საკითხები და ტენდენციები
 ლ. თევზაძე
 ფასი - 3 ლარი

ქიმიკა

საატმოსფერო
 ბიოქიმიკის
 ლ. მეტრეველი
 ფასი - 6 ლარი

ქიმიკა

დამხმარე სახელმძღვანელო
 უფროსკლასელებისა და
 აზიურინტენდენტებისათვის
 შ. კატრიანიშვილი,
 ნ. მაისურაძე
 ფასი - 4 ლარი

ბიოლოგია

საატმოსფერო
 ბიოქიმიკის
 ლ. ბურდულიძე,
 დ. ბარამიძე,
 ქ. მალრაძე,
 ნ. სინარულიძე,
 მ. ბაგალიშვილი
 ფასი - 4 ლარი



ფიზიკა

საატმოსფერო
 ბიოქიმიკის
 ქ. ტატიშვილი,
 ზ. ბერაძე
 ფასი - 6 ლარი

გეოგრაფია

საატმოსფერო ბიოქიმიკის
 ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
 ფასი - 6 ლარი

ისტორია

საატმოსფერო
 ბიოქიმიკის
 ბ. ლორთქიფანიძე,
 ნ. ახმეტელი,
 ნ. მურდულია
 ფასი - 6 ლარი

ისტორია

ეროვნული ბიოქიმიკის
 ბ. ლორთქიფანიძე,
 ნ. ახმეტელი,
 ნ. მურდულია
 ფასი - 9 ლარი

მათემატიკა

სწავლარის აზიურინტენდენტისა
 და სკოლის მოსწავლეთათვის
 ა. ნარბეული
 ფასი - 5 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“



მთავარი
 რედაქტორი:
 მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3
 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
 www.axaliganatleba.ge
 E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
 რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

 9 772233 386008 >